ანგარიში

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის დეპარტამენტის მიერ 2014 წელს გაწეული მუშაობის შესახებ

საანგარიშო პერიოდში დეპარტამენტმა უზრუნველყო მისთვის დებულებით დაკისრებული უფლებამოსილების შესაბამისად, შემდეგი საქმიანობის განხორციელება:

1. აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში სამართალშემოქმედებითი საქმიანობის ხელშეწყობის, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ნორმატიული აქტების საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კანონმდებლობაში არსებული ხარვეზების გამოსწორების მიზნით, შესწავლილ იქნა საქართველოს მოქმედი ნორმატიული აქტები, გადაისინჯა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მოქმედი ნორმატიული აქტები და მომზადებულ იქნა სათანადო წინადადებები და პროექტები, რომლებიც შემდგომი რეაგირებისათვის გადაეცა შესაბამის უწყებებს. შემუშავებულ იქნა 54 პროექტი (იხილეთ დანართი 1).

2. უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, სამართლებრივი ექსპერტიზა ჩაუტარდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობიდან და აღმასრულებელი ხელისუფლების სხვა დაწესებულებებიდან შემოსულ ნორმატიული აქტების პროექტებს. მითითებულ პერიოდში დეპარტამენტმა უზრუნველყო 72 ნორმატიული აქტის პროექტის სამართლებრივი ექსპერტიზა (იხილეთ დანართი 2).

3. ჩატარებული სამართლებრივი ექსპერტიზისა და შესაბამისი დასკვნის საფუძველზე, გამოქვეყნებაზე უარის თქმის საფუძვლების აღმოფხვრის მიზნით უზრუნველყოფილ იქნა გამოსაქვეყნებლად წარმოდგენილი ნორმატიული აქტების შემოწმება, ხოლო სსიპ – საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებგვერდზე გამოქვეყნდა 96 (ოთხმოცდათექვსმეტი) აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ნორმატიული აქტი - მათ შორის აფხაზეთის მთავრობის 61 დადგენილება; უმაღლესი საბჭოს 2 დადგენილება; აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებათა ბრძანებები -33 (იხილეთ დანართი 3).

4. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიიდან (აფხაზეთიდან) იძულებით გადაადგილებულ პირთათვის სამართლებრივი კონსულტაციების გაწევისა და მათი უფლებების დაცვის ხელშეწყობის მიზნით, დეპარტამენტმა, როგორც აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებამ, მითითებულ საანგარიშო პერიოდში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო ორგანოებსა და აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირებს, კომპეტენციის ფარგლებში, გაუწია იურიდიული ხასიათის საკითხებზე სამართლებრივი სახის კონსულტაციები. ასევე, საქართველოსა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დაწესებულებებიდან და მოქალაქეების მხრიდან დეპარტამენტში შემოსულ არაერთ წერილზე მომზადდა სათანადო პასუხი. (იხილეთ დანართი 4).

საგულისხმოა, რომ დეპარტამენტმა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებათა იურიდიული სამსახურების წარმომადგენელთათვის სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით ჩაატარა ღონისძიება, რომლის დღის წესრიგი ეხებოდა: აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ორგანოებში მიმდინარე ცვლილებათა და საკანონმდებლო სიახლეთა (მოთხოვნათა) განხილვა-გაანალიზებას; აფხაზეთის ავტონომიური რესპბლიკის დაწესებულებათა სამართლებრივ აქტებში არსებული ხარვეზების გამოვლენა-დადგენას სამართალშემოქმედებითი საქმიანობის ეფექტური განხორციელების მიზნით; აფხაზეთის

ავტონომიური რესპუბლიკის დაწესებულებებში საარქივო საქმიანობისა და საქმისწარმოების პრობლემატური საკითხების გადაჭრასა და სამართლებრივი აქტების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის საკითხებს.

5. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სამინისტროების, სხვადასხვა უწყებებისა და დაწესებულებების არქივების ორგანიზაციის მეთოდიკური დახმარების გაწევისა და საარქივო საქმიანობის კოორდინაციის გზით უზრუნველყოფილ იქნა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის საარქივო საქმიანობის მართვა, საარქივო საქმიანობის სრულყოფა და საარქივო საქმის განვითარება (იხილეთ დანართი 5).

6. განხორციელდა დეპარტამენტის მეშვეობით "საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში" გამოქვეყნებული აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის საკანონმდებლო ნორმატიული აქტების რეესტრების წარმოება (იხილეთ დანართი 6).

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მოქმედი, კოდიფიცირებული ნორმატიული აქტების ხელმისაწვდომობის მიზნით, დეპარტამენტმა არსებული საკანონმდებლო ბაზის საფუძველზე განაახლა დეპარტამენტის ვებგვერდი, რომელზეც ელექტრონული ფორმით განთავსდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კანონების, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დადგენილებების, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის დადგენილებებისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებათა მოქმედი ნორმატიული აქტების საბოლოო ვერსიები. ამასთან, დევნილი მოსახლეობის კანონიერი ინტერესების დაცვის ხელშეწყობის მიზნით, დეპარტამენტის საიტზე განთავსებულ იქნა საკანონმდებლო სიახლეები.

იმის გათვალისწინებით, რომ დეპარტამენტი 2004 წლიდან ახორციელებდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ნორმატიული აქტების რეესტრის წარმოებასა და მათ გამოქვეყნებას აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში - "აფხაზეთის საკანონმდებლო მაცნეში" და გააჩნდა 2004 წლიდან დღემდე მიღებულ-გამოქვეყნებული აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების სრული ბაზა, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ორგანოთა ნორმატიული ბაზით უზრუნველყოფის მიზნით, დეპარტამენტმა დაიწყო "აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ნორმატიული აქტების" სერიით აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ნორმატიულიმ აქტების კონსოლიდირებილი ვერსიების გამოსაცემად მომზადება (იხილეთ დანართი 7).

აღნიშნულიდან გამომდინარე, დეპარტამენტმა უზრუნველყო „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ნორმატიული აქტების ნუსხა/კრებული“-ს გამოცემა ბეჭდური სახით. თავდაპირველ გამოცემაში ქრონოლოგიურად იქნა წარმოდგენილი 2004 წლიდან ,,აფხაზეთის საკანონმდებლო მაცნეში“ გამოქვეყნებული და დღეისათვის მოქმედი აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ნორმატიული აქტების ნუსხა (ჩამონათვალი). ამასთან, ნუსხაში მითითებულ იქნა თითოეული ნორმატიული აქტის ის მონაცემები, რომელიც დაკავშირებულია მის გამოქვეყნებასთან, კერძოდ, ,,საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“ ვებგვერდი, ნორმატიული აქტის გამოქვეყნების თარიღი და სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი. ხოლო, 2011 წლის 1 იანვრამდე გამოქვეყნებულ ნორმატიული აქტებთან დაკავშირებით მითითებულ იქნა ოფიციალური გამოქვეყნების ორგანოს სახელწოდება, რომელშიც აღნიშნული ნორმატიული აქტია გამოქვეყნებული, აქტის გამოქვეყნების თარიღი აგრეთვე მუხლი.

წინამდებარე გამოცემა დაეხმარება სამართალშემოქმედების კუთხით დაინტერესებულ პირებს ცვლილების შეტანის თაობაზე ნორმატიული აქტის პროექტების მომზადებაში და ხელს შეუწყობს აფხაზეთის ნორმატიული აქტების პრაქტიკაში ეფექტურ გამოყენებას.

შემდგომ პერიოდში გათვალისწინებულია როგორც აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული საკანონმდებლო აქტების, ასევე, აფხაზეთის იმ ნორმატიული აქტების (სისტემატიზებული ვერსიების) გამოცემა, რომელიც ყოველდღიურად გამოიყენება აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის წარმომადგენლობით თუ აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებათა მუშაობის პროცესში.

ამასთან, დეპარტამენტმა გამოსაცემად მოამზადა ბროშურა "სამართლებრივი დახმარება მოსახლეობისათვის" - სოციალური უზრუნველყოფისა და დაზღვევის სფეროში.

7. 2014 წელს დეპარტამენტის მიერ სხვადასხვა ვაკანტურ თანამდებობათა დასაკავებლად ორგანიზებულ იქნა 15 კონკურსის ჩატარება, მათ შორის:

ა) სამართალშემოქმედების სამმართველოს სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილების მთავარი სპეციალისტის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად (გამოცხადებულ კონკურსზე სულ შემოვიდა 28 განცხადება);

ბ) ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების სამმართველოს უფროსის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად (გამოცხადებულ კონკურსზე სულ შემოვიდა 6 განცხადება);

გ) სამართალშემოქმედების სამმართველოს სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილების უფროსის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად (გამოცხადებულ კონკურსზე სულ შემოვიდა 5 განცხადება);

დ) აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის არქივის სამმართველოს ეროვნული საარქივო ფონდის დოკუმენტების შენახვა-დაცვის, გამოყენების, ეროვნული საარქივო ფონდის ფორმირების, საქმისწარმოებისა და დაწესებულებების დოკუმენტების სამეცნიერო-ტექნიკური დამუშავების განყოფილების უფროსის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად (გამოცხადებულ კონკურსზე სულ შემოვიდა 20 განცხადება);

ე) აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის არქივის სამმართველოს ეროვნული საარქივო ფონდის დოკუმენტების შენახვა-დაცვის, გამოყენების, ეროვნული საარქივო ფონდის ფორმირების, საქმისწარმოებისა და დაწესებულებების დოკუმენტების სამეცნიერო-ტექნიკური დამუშავების განყოფილების უფროსი სპეციალისტის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად (გამოცხადებულ კონკურსზე სულ შემოვიდა 45 განცხადება);

ვ) ბუღალტრული აღრიცხვისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს მთავარი სპეციალისტის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად (გამოცხადებულ კონკურსზე სულ შემოვიდა 17 განცხადება);

დეპარტამენტში ჩატარდა (2014 წლის 25 დეკემბერი) ატესტაცია დეპარტამენტის ატესტაციას დექვემდებარებულ მოხელეთა მიმართ (სულ 10 (ათი) მოქმედი თანამშრომელი).

ახალგაზრდა, პროფესიული კადრების მომზადების მიზნით, დეპარტამენტმა უზრუნველყო სტაჟიორ/პრაქტიკანტებისათვის პროფესიული უნარ-ჩვევებისა და პრაქტიკული გამოცდილების შესაძენად სათანადო პირობების შექმნა.

2014 წლის იანვრის თვეში უზრუნველყოფილ იქნა სტაჟიორების მისაღები კონკურსის გამოცხადება/ჩატარება, გამოცხადებულ კონკურსში განაცხადი შემოიტანა 173 კანდიდატმა; ამავე წლის 10 აპრილს გამოცხადებულ სტაჟიორების მისაღებ კონკურსში მონაწილეობის მისაღებად განაცხადი შემოიტანა 330 კანდიდატმა. დეპარტამენტის სტრუქტურულ ერთეულებში სტაჟირება გაიარა 20 სტაჟიორმა, ამჟამად სტაჟირებას გადის 7 სტაჟიორი.

საანგარიშო პერიოდში დეპარტამენტმა სტაჟიორთათვის უზრუნველყო სხვადასხვა ტრენინგის ჩატარება თემაზე: "საქართველოს კონსტიტუციის მე-2 თავი ადამიანის ძირითადი თავისუფლებანი და უფლებანი", "საერთაშორისო სამართლებრივი სტანდარტები", "ქალის უფლებების დაცვის საერთაშორისო და ეროვნული სამართლებრივი მექანიზმები" და სხვ.

ტრენინგებზე გამოყენებულ იქნა სწავლების ინტერაქტიული მეთოდოლოგია – “ბრეინ_შტორმინგი”, ჯგუფებში მუშაობა, “P/P”, დისკუსია, კითხვარების შევსება, დარიგდა საინფორმაციო მასალა და სხვა.

საგულისხმოა, რომ "ყოფილ პატიმართა რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის პროგრამის" ფარგლებში დეპარტამენტში სტაჟირება გაიარა ორმა ბენეფიციარმა. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით საქართველოს იუსტიციის მინისტრმა მადლიერებით აღნიშნა დეპარტამენტის კეთილი ნება ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე სტაჟიორთა მიღების შესახებ და სამადლობელი წერილი გააგზავნა თქვენს სახელზე.

8. როგორც მოგეხსენებათ საქართველოს იურისდიქციის სრულად აღდგენამდე, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე ლეგიტიმურად მცხოვრებ პირებზე მათი სურვილის შესაბამისად გაიცემა პირადობის ნეიტრალური მოწმობა და ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტი, საქართველოს იუსტიციის სერვისების განვითარების სააგენტოს მეშვეობით.

აღნიშნული საქმიანობის უზუნველყოფის მიზნით, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2011 წლის 24 ოქტომბრის #11 დადგენილების საფუძველზე, დეპარტამენტში შექმნილია "აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე ლეგიტიმურად მცხოვრები - პირადობის ნეიტრალური პირადობისა და ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მიღებაზე უფლებამოსილი პირების ფოტოიდენტურობის დადასტურების დამდგენი კომისია", რომელიც მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე შეისწავლის სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს რეგიონული სამსახურებიდან შემოსულ მასალებს, კომისიის მიერ მოპოვებულ ინფორმაციას და აღნიშნულის საფუძველზე ადასტურებს უფლებამოსილი პირის ფოტოიდენტურობას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დეპარტამენტის მიერ უზრუნველყოფილ იქნა სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ტერიტორიული სამსახურიდან შემოსული მასალების შესწავლა და უფლებამოსილი პირის ფოტოიდენტურობის დადასტურების თაობაზე არსებული და მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე 39 პირის ფოტოიდენტურობის დადასტურება, მათ შორის 2 პირზე უარყოფითი პასუხის გაცემა. (ამ ეტაპისათვის სულ დადასტურებულია 200 პირის ფოტოიდენტურობა, აქედან, 6 პირს ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტი, ხოლო დანარჩენი 194 პირის - პირადობის ნეიტრალური მოწმობა).

9. აღსანიშნავია, რომ დეპარტამენტი აქტიურად მონაწილეობს "ჩართულობის სტრატეგიის სამოქმედო გეგმის განხორციელების მიზნით სამთავრობო კომისიის შემადგენლობისა და დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2011 წლის 26 იანვრის #44 დადგენილებით შექმნილ სამთავრობო კომისიის საქმიანობაში, რომელიც უზრუნველყოფს ჩართულობის სტრატეგიის სამოქმედო გეგმის განხორციელების ხელშეწყობას, მონიტორინგსა და შეფასებას, სამოქმედო გეგმის განახლებასთან დაკავშირებით წინადადებებისა და რეკომენდაციების მომზადებას, შესაბამისი სამართლებრივი ბაზის შექმნას.

შესაბამისად, დეპარტამენტმა მონაწილეობა მიიღო სასტუმრო "თბილისი მარიოტში", შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის ხელმძღვანელობით გამართულ "ჩართულობის სტრატეგიის სამოქმედო გეგმის განხორციელების მიზნით" შექმნილ სამთავრობო კომისიის სხდომაში, სადაც განხილულ იქნა შემდეგი საკითხები: ჩართულობის სტრატეგია და მიმდინარე პოლიტიკა; კოორდინაცია უწყებებს შორის; კომისიის უფლებამოსილება; ინფორმაცია უწყებების საქმიანობაზე (უწყებების მიერ განხორციელებული/განსახორციელებელი ჩართულობის პოლიტიკა და კონკრეტული პროექტები საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებთან მიმართებაში).

ჩართულობის სტრატეგიის სამოქმედო გეგმის განხორციელების მიზნით, სამთავრობო კომისიის დებულებით გათვალისწინებული ფუნქციებისა და ამოცანების შესაბამისად, დეპარტამენტი

მონაწილეობას იღებს "ჩართულობის სტრატეგიის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ინიციატივების განხორციელების ფარგლებში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სათათბირო ორგანოს-აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებათაშორისო საბჭოს შექმნის შესახებ" აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2014 წლის 2 აპრილის #16 განკარგულებით შექმნილ საბჭოს მუშაობაში.

ზემოთაღნიშნული სამოქმედო გეგმის ფარგლებში:

ა) ,,სამშობლოსათვის მარადისობაში" პროგრამის ფარგლებში, რომლის მიზანია ქართულ-აფხაზური ურთიერთობების აღდგენა-დაახლოვება, "ომის სინდრომისა" და "მტრის ხატის" მოშლა, ორგანიზებულ იქნა დაღუპული მეომრების ოჯახის წევრებთან შეხვედრები, სატელევიზიო გადაცემებისა და სხვა სახის ღონისძიებების ჩატარება. კერძოდ, მომზადდა გადაცემა თემაზე ,,ქართულ- აფხაზური საუკუნოვანი ისტორია", - ღონისძიებები, რომლებიც ეძღვნებოდა აფხაზეთის ომში დაღუპულ გმირებს (ვახტანგ თედიაშვილს, ნუკრი (სიმონ) ცისკაძეს, გალის მკვიდრთ - მამა-შვილ შუქრი და ზურაბ ანჩაბაძეებს, ლაშა ვახტანგის ძე ლაშხიას) სახელწოდებით ,,ცრემლებს ეროვნება არა აქვს", ,,არ იქნება აფხაზეთი უერთმანეთოდ", რომელსაც ესწრებოდნენ გარდაცვლილი მეომრების დედები და მეუღლეები. ასევე, ღონისძიებას -,,დედები მხოლოდ ერთ ენაზე საუბრობენ“ ესწრებოდნენ სხვადასხვა ეროვნების დედები და მეუღლეები.

აღსანიშნავია, რომ აღნიშნული ღონისძიებები გაშუქდა აფხაზურ ენაზე მე-2 არხზე- ენგურს გაღმა მყოფი მოსახლეობისათვის. (იხილეთ დანართი 8).

ამასთან, გამოსაცემად მომზადდა წიგნის - ,,სამშობლოსათვის მარადისობაში“ II ნაწილი.

ბ) აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებული კულტურული (სულიერი) მემკვიდრეობის - ქართული სალოცავების სამართლებრივი დაცვის მექანიზმების შემუშავების მიზნით უზრუნველყოფილ იქნა კედლის სამწლიანი საცნობარო კალენდრის გამოცემა, რომელშიც გამოყენებულ იქნა იუსტიციის დეპარტამენტის მიერ ,,აფხაზეთის საკანონმდებლო მაცნეში" გამოქვეყნებული (#10, მუხლი 46, 18.05.2005) აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2003 წლის 7 აგვისტოს დადგენილება - ,,აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული მართლმადიდებლური ტაძრების, მონასტრების, მათი ნანგრევების საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის საკუთრებად ცნობის შესახებ". აღნიშნული კალენდარი, მიმდინარე წლის 23 მაისს, სვიმონ კანანელის ხსენების დღეს, სრულიად საქართველოს კათოლოკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის ილია II ლოცვა-კურთხევით საპატრიარქოში ჩატარებულ აფხაზეთისადმი მიძღვნილ კონფერენციაზე დაურიგდათ მონაწილეებსა და დამსწრე საზოგადოებას;

გ) მზადდებოდა ყოველკვირეული ინფორმაცია აფხაზეთის ტერიტორიაზე მიმდინარე მოვლენებისა და ადამიანის უფლებების დარღვევების შესახებ, ხოლო მათ საფუძველზე ყოველი თვის ბოლოს კეთდებოდა აფხაზეთის დე ფაქტო ტერიტორიაზე მიმდინარე მოვლენების ანალიზი, რომელიც ეგზავნებოდა სხვადასხვა სახელმწიფო დაწესებულებებს (საქართველოს უშიშროების საბჭოს, საგარეო საქმეთა სამინისტროს, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურატურას და სხვ.).

10. საანგარიშო პერიოდში დეპარტამენტში დოკუმენტბრუნვამ შეადგინა 2768 ერთეული. დეპარტამენტში შემოსულმა დოკუმენტების რაოდენობამ შეადგინა 1248 ერთეული, ხოლო დეპარტამენტიდან გასულმა დოკუმენტების რაოდენობამ - 1520 ერთეული, მათ შორის:

ა) დეპარტამენტში შემოვიდა:

ა.ა) აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობიდან 197 დოკუმენტი;

ა.ბ) აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოდან 7 დოკუმენტი;

ა.გ) განცხადება მოქალაქეებიდან 204 დოკუმენტი;

ა.დ) სხვადასხვა უწყებიდან 634;

ა.ე) საჯარო მოხელეთა 206 სხვადასხვა სახის განცხადება.

ბ) გავიდა:

ბ.ა) აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობაში154 დოკუმენტი;

ბ.ბ)აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოში 10 დოკუმენტი;

ბ.გ) მოქალაქეთა განცხადებებზე 127 დოკუმენტი;

ბ.დ) სხვადასხვა უწყებში 1229 დოკუმენტი.

2014 წელს დეპარტამენტში გამოიცა შემდეგი დოკუმენტები:

ა) საკადრო ბრძანება (დანიშვნა-განთავისუფლება, გადაყვანა, შვებულება.) - 188;

ბ) ხელშეკრულება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ – 101;

გ) შრომითი ხელშეკრულებები -21;

დ) დეპარტამენტის თავმჯდომარის მიერ ჩატარებული თათბირების ოქმები - 9.

დანართი: 1. დეპარტამენტის მიერ შემუშავებული სამართლებრივი აქტების პროექტები 5 (ხუთი) ფურცლად;

2. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობიდან და აღმასრულებელი ხელისუფლების სხვა დაწესებულებებიდან შემოსული ნორმატიული აქტების პროექტების სამართლებრივი ექსპერტიზის მონაცემები; 6 (ექვსი) ფურცლად;

3. დეპარტამენტის მეშვეობით სსიპ – საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებგვერდზე გამოქვეყებული ნორმატიული აქტები; 7 (შვიდი) ფურცლად;

4. ინფორმაცია 2014 წელს დეპარტამენტში შემოსულ წერილებთან და განცხადებებთან დაკავშირებით 4 (ოთხი) ფურცლად;

5. ინფორმაცია საარქივო საქმიანობის განხორციელების თაობაზე; 2 (ორი) ფურცლად;

6. 2014 წლის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები 24 (ოცდაოთხი) ფურცლად;

7. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ნორმატიული აქტების 2004-2014 წლის ნუსხა-კრებული;

8. დეპარტამენტის მიერ 2014 წელს განხორციელებულ ღონისძიებები 1 (ერთი) ფურცლად.